

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

როგორ განვუვითაროთ სმენადაქვეითებულ მოსწავლეს მხედველობითი მეხსიერება

მაწვეპლაძე ელისო

სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გელათის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

რეზიუმე

სმენადაქვეითებულობა არის ადამიანის მდგომარეობა, რომელიც ასახავს სმენისდაქვეითების სხვადასხვა ხარისხს მისი სუსტი დაზიანებიდან სრულ დაკარგვამდე. სმენადაქვეითებული არის პირი, რომელსაც აქვს სმენის პრობლემები, ასევე პირი, რომელიც ყრუა.

სტატისტიკის თანახმად, სმენის დაქვეითება საკმაოდ ხშირი მოვლენაა (განსაკუთრებით მოზარდებში). ადამიანი, რომელსაც ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის ბგერითი არხი დაზიანებული აქვს, მოკლებულია სამყაროს ადეკვატური აღქმის უნარს. სმენადაქვეითებულს უჭირს ადეკვატურად აღიქვას მოვლენები, ურთიერთობა დაამყაროს სხვა ადამიანებთან, მოახდინოს სოციალური უნარების რეალიზაცია და დამკვიდრდეს სოციალურ სმენისდაქვეითება, სიყრუე, ხშირად იქცევა ინტელექტუალური განვითარების ბარიერად.

ამ პრობლემებს ისიც ემატება, რომ სმენადაქვეითებულ მოსწავლეებს მეტნაკლებად აქვთ განვითარებული მხედველობითი მეხსიერება. რადგან მათ სმენის დაქვეითების გამო ვერ განუვითარდებათ სმენითი მეხსიერება, ამიტომ მაქსიმალურად უნდა განვახორციელოთ ის აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს მათი მხედველობითი მეხსიერების განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: *სმენადაქვეითებულობა, სიყრუე, სმენითი და მხედველობითი მეხსიერება, სმენადაქვეითებული მოსწავლე, აქტივობები*

სმენადაქვეითებულობა - ეს არის ადამიანის მდგომარეობა, რომელიც ასახავს სმენის დაქვეითების სხვადასხვა ხარისხს სმენის სუსტი დაზიანებიდან მის სრულ დაკარგვამდე. სმენადაქვეითებული არის პირი, რომელსაც აქვს სმენის პრობლემები, ასევე პირი, რომელიც ყრუა.

სტატისტიკის თანახმად, სმენის დაქვეითება საკმაოდ ხშირი მოვლენაა (განსაკუთრებით მოზარდებში). სმენადაქვეითებული ადამიანი გარშემო მყოფთაგან სრულიად განსაკუთრებულ ქცევას მოითხოვს. ადამიანი, რომელსაც ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის ბგერითი არხი დაზიანებული აქვს, მოკლებულია სამყაროს ადეკვატური აღქმის უნარს. მას სჭირდება სხვა, ალტერნატიული გზები იმისათვის, რომ ღრმად ჩასწვდეს

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

არსებულ რეალობას და ადამიანურ ურთიერთობათა სირთულეებს, რომელთა შესახებ წარმოდგენას მხოლოდ სიტყვა იძლევა.

სმენადაქვეითებული, რომელსაც არ ესმის სხვისი ნაუბარი, ვერც თავად სწავლობს ლაპარაკს - მუნჯი რჩება, რადგან როგორც ცნობილია, ადამიანი მეტყველებას წაბადვით სწავლობს. სმენისდაქვეითება, მითუმეტეს - სიყრუე, აუცილებლად იქცევა ინტელექტუალური განვითარების ბარიერად. შეფერხებულია მისი სოციალური უნარების განვითარება, ასეთი ადამიანი დაბრკოლებებს აწყდება სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დამყარების დროს და, შესაბამისად, მისთვის გართულებულია სოციუმში დამკვიდრების პროცესი.

როგორც ცნობილია, გამოყოფენ მეხსიერების 3 სახეს:

- მხედველობით ანუ ოპტიკურ/ვიზუალურ მეხსიერებას
- სმენით ანუ აკუსტიკურ მეხსიერებას
- მოძრაობით ანუ მოტორულ მეხსიერებას

მხედველობითი მეხსიერების მქონე პირიკარგად იმახსოვრებს მხედველობით აღქმულს, თვალთ წაკითხულს. ასეთი მოზარდების მოგონებებში აისახება მხედველობითი, თვალსაჩინო წარმოდგენები.

სმენითი მეხსიერების მქონე პირი კარგად იმახსოვრებს მოსმენილს. მათ მოგონებებში კი სჭარბობს სმენითი (ბგერითი) წარმოდგენები.

მოძრაობითი ანუ მოტორული მეხსიერების მქონე პირი უფრო იმახსოვრებს იმას, რისი აღქმაც შეძლო საკუთარი მოძრაობების დახმარებით. ამ ტიპის მოზარდი ადვილად ეუფლება ცეკვებს, ფიზიკულ ტურულ მოძრაობებს და ა.შ.

ადამიანების უმრავლესობას მეხსიერების სამივე ტიპი გააჩნია, თუმცა შეიძლება რომელიმე გამოკვეთილად ჰქონდეს.

რადგან სმენადაქვეითებულ მოსწავლეებს სმენის დაქვეითების გამო ვერ განუვითარდებათ სმენითი მეხსიერება, ამიტომ მაქსიმალურად უნდა განვახორციელოთ ის აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს მათი მხედველობითი და მოძრაობითი მეხსიერების განვითარებას.

როგორც ცნობილია, მხედველობითი მეხსიერება ყველაზე მყარია იმიტომ, რომ თვალისა და ტვინში მიმავალი ნერვები 20-ჯერ მსხვილია, ვიდრე ნერვები, რომლებიც ყურიდან ტვინში შედის. მარკ ტვენი, თურმე, ვერაფრით ვერ იმახსოვრებდა საკუთარი გამოსვლის ტექსტს, როცა ჩანაწერებით ხელმძღვანელობდა, მაგრამ, თუ ის ამ ჩანაწერებს ნახატებით შეცვლიდა, ყველაფერი რიგზე იყო.

ჩვენს სკოლაში ერთი სმენადაქვეითებული მოსწავლე სწავლობს, რომლის ლექსიკური მარაგი ძალიან მწირია, მას უჭირს საგნების სახელების დამახსოვრება. ამიტომაც, ჩემს კოლეგებთან ერთად, მიზნად დავისახეთ უკეთესი შედეგების მისაღწევად მოსწავლის

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

მხედველობითი მეხსიერების განვითარება, მისთვის საკუთარი მეხსიერების მართვის სწავლა.

სმენადაქვეითებულ მოსწავლესთან უკვე ორი წელია ვმუშაობთ ინდივიდუალური გეგმებით, რომლებიც შედგენილია მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობების, ამ კლასში გასავლელი მასალის გათვალისწინებით. პერიოდულად სკოლის გუნდის წარმომადგენლები ვხვდებით ერთმანეთს, ვაკეთებთ რეფლექსიებს და შესაბამისად ვგეგმავთ შესაბამის აქტივობებს, ვეძებთ და ვცვლით რესურსებს. ამას ისიც დაემატა, რომ სკოლაში გვყავს სპეციალური მოსწავლელი, რომელიც სსსმ მოსწავლესთან დასახული მიზნების მიღწევაში გვეხმარება.

როგორც ცნობილია, მოზარდი ყველაზე უკეთ იმახსოვრებს მკვეთრ სურათებს, რომლებიც ძლიერ ემოციებს იწვევს, თუმცა ეს მეტწილად უნებლიედ ხდება. ამიტომაც საგაკვეთილო პროცესში ხშირად ვიყენებთ ფერად, მკვეთრ სურათებს, ნახატს, დასურათებულ წიგნებს (სხვადასხვა დროს გრანტებით შეძენილს).

მხედველობითი მეხსიერების გასავითარებლად საგაკვეთილო პროცესშიც და დამატებითი მეცადინეობების დროსაც ვიყენებთ შემდეგ აქტივობებს:

1. მაგიდაზე ვაწყობთ თემიდან გამომდინარე მარტივ სიტყვებს (სტიკერებს) და მათ შესაბამისსურათებს. მათზე გამოსახული საგნები მოსწავლისათვის მეტ-ნაკლებად ნაცნობი უნდა იყოს. იგი კარგად აკვირდება მათ, შემდეგ ვავალებთ მას, სურათებს მოარგოს შესაბამისი სტიკერი. ხმამაღლა და გამართულად წარმოთქვამს აღნიშნულ სურათზე გამოსახული საგნის სახელს.
2. ამის შემდეგ სურათებს ვიღებთ და მოსწავლეს ვთხოვთ, საგნები ზეპირად დაასახელოს. (ამ დავალების შესრულება თავიდან ძალიან უჭირდა, 5 სურათიდან სწორად ასახელებდა მხოლოდ ერთს ან ორს. ახლა სიამოვნებით ასახელებს საგნის სახელებს)
3. სურათებს ვალაგებთ გარკვეული თანმიმდევრობით, მოსწავლე ჩამოთვლის ამ სურათებზე ასახული ნივთების სახელებს. მერე ვთხოვთ მას, დახუჭოს თვალები და ვიღებთ რომელიმე ერთ ნახატს, ან ადგილს ვუცვლით. ბავშვმა უნდა აღმოაჩინოს ეს ცვლილება. (ამ დავალების შესრულებაც უჭირდა, მაგრამ ახლა ხალისით ერთვება სავარჯიშოში)
4. ვიღებთ ფურცელსა და ფანქარს. ვწერთ მასზე მარტივ სიტყვას, მოსწავლე იმახსოვრებს მას და შემდეგ თვითონ წერს.
5. ვიღებთ პატარა ტომარას, რომელშიც წინასწარ ჩალაგებულია მოსწავლისათვის ნაცნობი სხვადასხვა ნივთი, მოსწავლეს თვალებს ვუხვევთ, შემდეგ ვთხოვთ მას, ტომრიდან ამოიღოს რიგ-რიგობით ნივთები და შეეცადოს დაასახელოს ისინი. აქტივობაში შეიძლება ჩავართოთ მასთან ერთად სხვა მოსწავლეებიც, რაც მეტად სახალისოს ხდის დავალებას.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

6. ვაჩვენებთ სტიკერზე დაწერილ ახალ სიტყვას, მოსწავლე წარმოთქვამს ამ სიტყვას, მერე ვაძლევთ ტექსტს და ვთხოვთ მასში იპოვოს ეს სიტყვა. (ამ დავალების შესრულებას ადრე დიდ დროს ანდომებდა, ახლა უფრო სწრაფად პოულობს ამ სიტყვას).

ამ აქტივობების დახმარებით სმენადაქვეითებულ მოსწავლეს უფრო მეტად განუვითარდა მხედველობითი მეხსიერება, იოლად იმახსოვრებს ნივთების სახელებს, გაუმდიდრდა ლექსიკური მარაგი (რაც ისგ-ს ერთ-ერთი გრძელვადიანი მიზანია), ახლა სწორად გამოთქვამს ნაცნობ სიტყვებს, უკეთ ახერხებს სურათის აღწერას, პოულობს ნაცნობ სიტყვებს სხვადასხვა ტექსტში და აკავშირებს მათ საგნებთან, აუმაღლდა თვითშეფასება, კლასელებთან ერთად დამოუკიდებლად ერთვება სხვადასხვა სახალისო აქტივობაში.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ სმენადაქვეითებული მოსწავლეს სმენის დაქვეითების გამო ასევე დაქვეითებული აქვთ სმენითი მეხსიერება. ამიტომ ვთვლით, რომ ასეთი მოსწავლეებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მხედველობითი მეხსიერების განვითარება, რადგან ამით ის მოახდენს საჭირო სასწავლო უნარების მენ-ნაკლებად კომპენსირებას, მეტად ჩაერთვება საგაკვეთილო პროცესში და უფრო წარმატებული გახდება სწავლებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://janmrtelobainfo.ge/?page_id=3194
2. <http://www.mkurnali.ge/medicinis-siakhleni/3260-siyvue-da-masthan-dakavshirebuli-fsiqologiuri-problemebi.html>
3. ნათია კიკვაძე - მეხსიერებაზემოქმედი ფაქტორები, 2015 <http://intermedia.ge>
4. მზია წერეთელი - კოგნიტური ფსიქოლოგია, აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, 2012;